



ეთიკის კომისიის რეკომენდაცია №005/16

1. შეკითხვა

2016 წლის 29 თებერვალს ეთიკის კომისიაში დაისვა საკითხი, იმის შესახებ რომ ადვოკატ „დ“-ს მიერ კომპანია „ფ“-ის ინტერესების დაცვისას შეიძლება სახეზე ყოფილიყო ინტერესთა კონფლიქტი. კომპანია „ბ“-ში ადვოკატი „დ“ მუშაობდა იურისტის პოზიციაზე და არ ახორციელებდა სასამართლოში კომპანიის ინტერესების წარმომადგელობას. კომპანიიდან წამოსვლის შემდეგ ადვოკატმა „დ“-მ მუშაობა დაიწყო კომპანია „ფ“-ში. კომპანია „ფ“-ს დავა წარმოეშვა კომპანია „ბ“ - ს წინააღმდეგ. დავა ეხებოდა იმ ხელშეკრულებას, რომელზეც, ადვოკატ „დ“-ს, როგორც იურისტს კომპანიაში მუშაობის დროს ჰქონდა შეხება, მუშაობდა ამ ხელშეკრულების შედგენაზე და ფლობდა აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კომპანია „ბ“-ს კონფლიდენციალურ ინფორმაციას.

2. სამართლებრივი ანალიზი

ადვოკატ „დ“-ს მიერ კომპანია „F“-ის ინტერესების დაცვისას შეიძლება თუ არა სახეზე იყოს ინტერესთა კონფლიქტი? „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი კომპანიაში იურისტის პოზიციაზე მუშაობისას იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრი და მასზე ვრცელდებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები. განსახილველ შემთხვევაში, კომპანია „ბ“-ში მუშაობისას მართალია ადვოკატი „დ“ არ ახორციელებდა სასამართლოში ამავე კომპანიის ინტერესების წარმომადგენლობას და მხოლოდ, როგორც იურისტს ჰქონდა შეხება სადავო ხელშეკრულებასთან, თუმცა მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტულ სამართლებრივ დოკუმენტზე მუშაობა წარმოადგენს კომპანიისთვის იურიდიული დახმარების გაწევას, როგორც მისი კლიენტისთვის ადვოკატთა ასოციაციის წევრის მიერ. კომპანია „ფ“-ის ინტერესების დაცვისას იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ადრე, როგორც ადვოკატმა „დ“-მ იურიდიული დახმარება გაუწია კომპანია „ბ“-ს, წარმოქმნის ინტერესთა კონფლიქტს. შესაძლოა, ადვოკატმა „დ“-მ გამოიყენოს კომპანია „ბ“-ს შესახებ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კონფიდენციალური ინფორმაცია და მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს საადვოკატო საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი



პრინციპები, როგორცაა ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა და არ უნდა დააყენოს მათი დაცვა საფრთხის ქვეშ.

ადვოკატმა „დ“-მ კომპანია „ფ“-ის ინტერესების დაცვისას, იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც ადრე, როგორც ადვოკატმა იურიდიული დახმარება გაუწია კომპანია „ზ“-ს, წარმოქმნა ინტერესთა კონფლიქტი, რადგან შესაძლოა, ადვოკატმა „დ“-მ გამოიყენოს კომპანია „ზ“-ს შესახებ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კონფიდენციალური ინფორმაცია და მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს საადვოკატო საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა და არ უნდა დააყენოს მათი დაცვა საფრთხის ქვეშ.